საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოსა და წარმომადგენლობითი საბჭოს

2016 წლის 18 მარტის

გაერთიანებული სხდომის

დადგენილება №28

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიურ და მასწავლებელთა პერსონალზე სახელფასო
დანამატის (ბონუსი) გაცემის წესისა და
აკადემიური პერსონალის მიერ აკადემიურ, სამეცნიერო-კვლევით და სტუ-ისთვის
მნიშვნელოვან სხვა საქმიანობაში მიღწეული შედეგების
შეფასების კრიტერიუმების შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გაერთიანებული სხდომა ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნეს სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურ და მასწავლებელთა პერსონალზე სახელფასო დანამატის (ბონუსი) გაცემის წესი და აკადემიური პერსონალის მიერ აკადემიურ, სამეცნიერო-კვლევით და სტუ-ისთვის მნიშვნელოვან სხვა საქმიანობაში მიღწეული შედეგების შეფასების კრიტერიუმები;
2. სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურ და მასწავლებელთა პერსონალზე სახელფასო დანამატის (ბონუსი) გაცემის წესის გარდამავალ დებულებაში ჩაწერილ იქნეს შემდეგი: 2016 წლის პირველ მაისამდე სტუ-ის ფაკულტეტებმა უზრუნველყონ აღნიშნული წესით გათვალისწინებული სამუშაოების ჩატარება;
3. ფაკულტეტებმა შედეგები ინფორმაციის მიზნით წარმოადგინონ სტუ-ის აკადემიური საბჭოსა და წარმომადგენლობითი საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე.

აკადემიური საბჭოს სხდომის თავმჯდომარე — ჯ. იოსებიძე

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი — ჯ. გახოკიძე

დამტკიდებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოსა და წარმომადგენლობითი საბჭოს

2016 წლის 18 მარტის გაერთიანებული სხდომის

№28 დადგენილებით

აკადემიურ, მოწვეულ პროფესორზე და მასწავლებელთა პერსონალზე სახელფასო დანამატის (ბონუსის) გაცემის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

ეს წესი განსაზღვრავს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) აკადემიურ, მოწვეულ პროფესორზე და მასწავლებელთა პერსონალზე (შემდგომში - პერსონალი) სახელფასო დანამატის (ბონუსის) გაცემის წესსა და პირობებს.

მუხლი 2. სახელფასო დანამატის (ბონუსის) გაცემის წესი

1. სახელფასო დანამატის (ბონუსის) გაცემის საკითხის ინიცირების უფლება აქვს უნივერსიტეტის შესაბამისი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის (ფაკულტეტი, სკოლა) ხელმძღვანელს.

2. სახელფასო დანამატის (ბონუსის) გაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტის რექტორი საკუთარი დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში.

მუხლი 3. სახელფასო დანამატის (ბონუსის) გაცემის პერიოდულობა და ოდენობა

1. სახელფასო დანამატი (ბონუსი) პერსონალზე გაიცემა გასული სასწავლო წლის შედეგების გათვალისწინებით, რომელიც ფასდება თანდართული შეფასების კრიტერიუმების მიხედვით (დანართი #1).

2. სახელფასო დანამატი (ბონუსი) გაიცემა ყოველთვიურად, ამ წესით დადგენილი ოდენობისა და პრინციპების დაცვით.

3. პერსონალის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში, სახელფასო დანამატის (ბონუსის) გაცემა წყდება.

4. დანართით გათვალისწინებული ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებელია ფაკულტეტის შესაბამისი აკადემიური დეპარტამენტი და პერსონალი. არასწორი

ინფორმაციის გამოვლენის შემთხვევაში, საკითხი შესაბამისი რეაგირებისათვის გადაეცემა ფაკულტეტის ეთიკის კომისიას.

მუხლი 4. სახელფასო დანამატის (ბონუსის) ფონდის ფორმირების პრინციპი

1. სახელფასო დანამატის (ბონუსის) ფონდის ფორმირების წყაროა უნივერსიტეტის შესაბამისი ძირითადი საგანმანათლებლო (ფაკულტეტი, სკოლა) ერთეულის ბიუჯეტი.

2. სახელფასო დანამატის (ბონუსის) გაცემა ხორციელდება უნივერსიტეტის შესაბამისი ძირითადი საგანმანათლებლო (ფაკულტეტი, სკოლა) ერთეულის შესაბამისი წლის ბიუჯეტით ამ მიზნით გათვალისწინებული საბიუჯეტო ასიგნებებიდან.

3. სასწავლო წელს გასაცემი სახელფასო დანამატის (ბონუსის) ოდენობის დასადგენად, შესაბამისი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის ბიუჯეტში ამ მიზნით გათვალისწინებული ფინანსური ხარჯების ოდენობა იყოფა პერსონალის მიერ გასული წლის მიღებულ ქულათა საერთო რაოდენობაზე და მიღებული რიცხვი წარმოადგენს ერთი ქულის შესაბამის ღირებულებას.

4. ცალკეულ პირზე ყოველთვიურად გასაცემი სახელფასო დანამატის (ბონუსის) ოდენობა გამოითვლება ამ პირის მიერ გასულ კალენდარულ წელს მიღებული ქულების საერთო რაოდენობის მიხედვით, რომელიც გადანაწილდება პროპორციულად, 12 თვეზე.

მუხლი 5. გარდამავალი დებულება

ამ წესის შესაბამისად აკადემიურ პერსონალზე, მოწვეულ პროფესორზე და მასწავლებელთა პერსონალისათვის სახელფასო დანამატის (ბონუსის) პირველადი გაცემისას დანართი №1-ით დადგენილი შეფასების კრიტერიუმების მიხედვით ქულების დაანგარიშება ხორციელდება 2013 წლის სექტემბრიდან 2015 წლის დეკემბრის ჩათვლით.